



## აბიტურიენტთა რეგისტრაცია, ჩარიცხვა

| ეტაპი | ვადა/თარიღი   | შენიშვნა   |
|-------|---|--|
| 1     | აბიტურიენტთა რეგისტრაცია<br>01.09-14.09.2017                  | სამუშაო დღეები: ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.<br>სამუშაო საათები: 10 <sup>00</sup> -17 <sup>00</sup> სთ.<br>მისამართი: ქ. ბათუმი, მახინჯაური. თამარ მეფის გამზირი №38 (ოთახი №1).<br>საკონტაქტო ტელ.: +995 422 292 525.<br>ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bntu.edu.ge">info@bntu.edu.ge</a> |
| 2     | ჩარიცხვის ერთიანი აქტის გამოცემა<br>არაუგვიანეს<br>18.09.2017 | -  |

## რეგისტრაციის მიზნით წარსადგენი დოკუმენტები

- სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი);
- უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში ასევე წარსადგენია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი);
- საზღვაო სფეროს საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე [www.mta.gov.ge](http://www.mta.gov.ge)).

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ

- აბიტურიენტს შეუძლია გაეცნოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობას (იხ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობები), გაესაუბროს პროგრამის ხელმძღვანელს, მიიღოს/დააზუსტოს ინფორმაცია პროგრამის შესახებ, მიიღოს რეკომენდაციები და სხვ. (იხ. „საკონტაქტო ინფორმაცია“);
- აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ბნსუ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, ვალდებულია ზემოთ მითითებულ რეგისტრაციის ვადაში მიმართოს ბნსუ-ს ჩარიცხვის თაობაზე, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები და გაიაროს რეგისტრაცია. აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა ბნსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, მაგრამ ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში არ მიმართა ბნსუ-ს, არ წარადგინა სავალდებულო დოკუმენტები და არ გაიარა რეგისტრაცია, ვერ მოხდება რექტორის ერთიან ჩარიცხვის აქტში დადგენილ ვადაში ბნსუ-სთვის არმიმართვის გამო;
- საზღვაო დარგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისთვის. ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში.
- ბნსუ-ში სტუდენტის ვალდებულებებისა და უფლებების, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის და სხვ. საკითხები რეგულირდება შინაგანაწესით, რომლის გაცნობა და მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა.
- საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ბნსუ-ში ჩაცმულობის დადგენილი ფორმა.

## საკონტაქტო ინფორმაცია

- მისამართი: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38
- ვებგვერდი: [www.bntu.edu.ge](http://www.bntu.edu.ge)
- ელ.ფოსტა: [info@bntu.edu.ge](mailto:info@bntu.edu.ge)
- საკონტაქტო ტელეფონი: +995 422 292 525
- ბნსუ-ში სამუშაო დღეები: ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა
- ბნსუ-ში სამუშაო საათები: 09<sup>00</sup> - 18<sup>00</sup> სთ.